ჩაერთვება ნებისმიერი დაინტერესებული პირი, შევთავაზებთ ყველას, წევრსაც დავიმატებთ, გავეცნობით ბენეფიციარების მდგომარეობას და გავუწევთ შესაბამის ფინანსურ დახმარებას. ინტერნეტ სივრცეში განვათავსებთ ინფორმაციას, გავავრცელებთ რეკლამას, გავმართავთ შეხვედრებს, ასევე შევხვდებით ბიზნესმენებს და სურვილის შემთხვევაში დაინტერესებული პირები ჩაერთვებიან აღნიშნული ფონდის საქმიანობაში. ფონდში არსებული თანხები გამჭირვალე იქნება. სოციალური მუხლიდან გაკონტროლდება სხვადასხვა მიმართულება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა დააფიქსირა აზრი, რომ აღნიშნული ფონდი უნდა ემსახურებოდეს ონკოლოგიურ პაციენტებს, მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციარებს, რომელთაც არა აქვს არანაირი რესურსი სამკურნალოდ.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანა გამოთქვა სურვილი ფონდის წევრად ირაკლი ქურასბედიანის მიღების შესახებ, როგორც დაბის მაჟორიტარი აქტიურად ჩაერთვება აღნიშნული ფონდის საქმიანობაში. ფონდის ხელმძღვანელმა აღნიშნა რომ მზად არიან დაიმატონ წევრად ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ქურასბედიანი.

ფრაქციის წევრებმა სრული ნდობა გამოუცხადეს აღნიშნულ ფონდს, დააფიქსირეს მზაობა ჩაერთონ ფონდის საქმიანობაში და გაუწიონ შესაბამისი სამსახური ბენეფიციარებს.

სხდომა დამთავრდა 13:00 -ზე.

ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული

საქართველოს თავმჯდომარე: /ი. ქურასბედიანი/